პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (11818)
სამშაბათი,
6
1960 წ.

ფასი 20 კაპ.



ნ. ს. ხრუშჩოვი ფინეთში. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და უ. კეკონენი ჰელსინკში.
ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ჰელსინკიდან გამოემგზავრა

ჰელსინკი, 4 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **პ. ს. კონოვალოვი** გადმოგვცემს: დღეს საღამოს სპეციალური მატარებლით ჰელსინკიდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც აქ იყო სამი დღის მეგობრობის ვიზიტით.

საპატიო საბჭოთა სტუმრის გასაცილებლად ვაგზალში მოვიდნენ ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ტერნგრენი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. კარიალაინენი და სხვა ოფიციალური პირები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ფინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, ჟურნალისტები.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის პატივსაცემად პერონზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და უ. კ. კეკონენმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ბატონებო!

მეგობრებო!

დღეს ჩვენ სამშობლოში ვბრუნდებით. ჩვენს გულში მიგვაქვს თქვენთან, ბატონო პრეზიდენტო, ფინეთის მთავრობის წევრებთან, ფინელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრებისა და გულწრფელი საუბრების სითბო. დიდხანს დარჩება ხსოვნაში ჩვენდამი, მეზობელი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისადმი, ფინელ მოქალაქეთა მეგობრული გრძნობების მღელვარე გამოვლინებანი.

როცა ფინეთში ჩამოდიხარ და ხვდები აქ ესოდენ გულითად, მეგობრულ მიღებას არა მარტო ოფიციალური პირების მხრივ, არამედ მოსახლეობის უაღრესად დათმო ფენების მხრივაც, გრძნობ, რომ ჩვენი ხალხები ახლა იმკიან საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის განმტკიცების იმ სწორი პოლიტიკის ნაყოფს, რომელსაც განუხრელად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის მთავრობა და ფინეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები.

ბატონებო, ფინეთში ყოფნის დროს ჩვენ სასარგებლო საუბრები გვქონდა იუბილართან, ჩემს დიდი ხნის მეგობართან — ბატონ კეკონენთან და სხვა ფინელ სახელმწიფო მოღვაწეებთან. ეს საუბრები და ის დასკვნები, რომლებიც გამოვიტანეთ, ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობის სიმტკიცისა და ცხოველმყოფელობის ახალი დადასტურებაა.

ჩვენი საუბრების შედეგები ასახულია ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც ქვეყნდება.

ჩვენ გვქონდა აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება. და ეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის და, გავბედავ თქმას, პირადად ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

უ. კ. კეკონენის სიტყვა

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!

ძვირფასო მეგობარო!

რამდენადაც თქვენ ბრუნდებით სამშობლოში ფინეთიდან, სადაც თქვენს ვიზიტს დიდი გულითადობითა და მადლობით შეხვდნენ, ნება მიბოძეთ გისურვოთ ბედნიერი მგზავრობა. ჩვენს შორის, საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ადრევე რომ არ ყოფილიყო გულითადი, კარგი ურთიერთობა, ეს თქვენი ვიზიტი მობრუნების პუნქტი იქნებოდა ჩვენს ურთიერთობაში. იმდენად კარგად შევძელით ჩვენ გულახდილ საუბრებში განგვემარტა საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფინეთისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის.

მთელმა ფინელმა ხალხმა დიდი სიხარულით მოისმინა ის სიტყვები, რომლებიც თქვენ აქ თქვით წასვლის მომენტში თქვენი ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ. ძლიერ მოხარული ვართ, რომ ასე აფასებთ თქვენს მოგზაურობას. გულითად მადლობას გიძღვნით თქვენი ვიზიტისათვის. გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას, გისურვებთ კარგ წარმატებას და გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა კავშირში — მის ხელმძღვანელებსა და მის ხალხებს — ფინელი ხალხის გულითადი სალამი.

მე სიამოვნებით შევთავაზებდი აქ მყოფ ათასობით ფინელს წარმოეთქვა გამოსათხოვარი მისალმება. მაგრამ ისინი ძლიერ შორს არიან ჩვენგან და ვერ მოგესალმებიან. ჟურნალისტებს ეს არ შეუძლიათ, რადგან თავიანთი საქმით არიან გართული. დაკმაყოფილდით ჩემი გამოსათხოვარი სიტყვით.

ნიკიტა სერგის-ძე ურხო კეკონენს რაღაცას ეხუმრება, ხელს ართმევს მას და ეუბნება: „ნიაკემიინ“ (ნახვამდის). გამცილებელთა გულთბილ მისასალმებელ შეძახილებსა და ტაშის გრიალში ნ. ს. ხრუშჩოვი ადის ვაგონში, და მატარებელი იძვრის.

ვიზიტი, რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო, დამთავრდა. ჩაიწერა ახალი სახელოვანი ფურცელი სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

საზღვრამდე ნ. ს. ხრუშჩოვს აცილებენ სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ლ. ელტი და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკე

ჰელსინკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 1960 წლის 2-დან 4 სექტემბრამდე ფინეთში მეგობრობის ვიზიტით იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა მთავრობისა და პირადად მისი სახელით ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადად მიულოცა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უო. კეკონენს დაბადების 60 წლისთავი და მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტის იუბილეში.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მას ვიზიტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ინება ქალაქ გაეკეთებინა ფინეთში და რომელიც ღირსეულად განაგრძობს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პირადი შეხვედრების სერიას, რაც უკვე ტრადიციული გახდა, მიაჩნია ორივე ქვეყანას შორის არსებული მეგობრობისა და ნდობის ღირსშესანიშნავ გამოვლინებად.

ჰელსინკში ყოფნის დროს, ნათქვამია კომუნიკეში, ნ. ს. ხრუშჩოვს უ. კეკონენთან ჰქონდა საუბრები, რომელთა მსვლელობაში მოხდა აზრთა გულახდილი და სასარგებლო გაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობისა და საერთაშორისო ვითარების საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ამ საუბრების დროს, რომლებიც მიმდინარეობდა გულწრფელი მეგობრობის სულისკვეთებით, აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა სანიმუშო მაგალითი აღმოჩნდა მშვიდობიანი თანაარსებობისა, რომლის ფარგლებში ვლინდებოდა ზრუნვა ორივე ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის და დაცული იყო სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

საუბრების მსვლელობაში ორივე მხარემ კვლავ აღნიშნა, რომ მშვიდობისმოყვარული და ნეიტრალური პოლიტიკა, რასაც ფინეთი ახორციელებს, ისი ყოფნა დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობათა გარეშე და მის მიერ მეგობრული, ურთიერთანატანებისცემაზე დამყარებული ურთიერთობის დამყარება ყველა სახელმწიფოსთან თავის მხრივ ღირსეულად უწყობს ხელს ხალხებს შორის ურთიერთგაგებას და ამით ემსახურება მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის წარმატებას.

როგორც შემდეგ ნათქვამია კომუნიკეში, ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საშიშია და ყველა ხალხისათვის სამძიმო გამალებული შეიარაღების შეწყვეტა ალბათ უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე წინათ, და რომ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1959 წლის 20 ნოემბერს ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციის შესრულების გზით. მასთან აღინიშნა, რომ ორივე მხარე აღფრთოვანებულია გულწრფელი სურვილით ხელი შეუწყონ ამოს განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებებით იმას, რომ მთელ მსოფლიოში დაუყოვნებლივ შეიძლებოდეს კონსტრუქციულ და ეფექტიან ღონისძიებათა მიღება ამ მიზნის მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია კომუნიკეში, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაიმოწმა ის მრავალი განცხადება, რომლებშიც ფინეთის მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაუჭიროს და შეძლებისდაგვარად შეამსუბუქოს ყველა მისწრაფება, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ნამდვილი პროგრესი განიარაღების დარგში, და განაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს ყველა განსახორციელებელ გეგმას პრაქტიკული შედეგების მისაღწევად ამ დარგში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი XV სესია ხელს შეუწყობს ამ პრობლემის წარმატებით განხილვას. უ. კეკონენმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს ამ იმედს.

საუბრებში ორივე მხარე უარყოფითად მოეკიდა ევროპაში ან მის გარეთ შეიარაღების გაფართოების ყველა იმ განხორციელებულ ან დაგეგმვის სტადიაში მყოფ ღონისძიებას, რომლებიც თავის მხრივ აძნელებენ განიარაღების განხორციელებას, ეგრეთვე ზრდიან საფრთხეს, რომელსაც ახლანდელი საერთაშორისო ვითარება შეიცავს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და უ. კეკონენმა გამოთქვეს ავრეთვე მტკიცე განზრახვა ყოველი ღონე იხმარონ, რათა ჩრდილოეთ ევროპის რაიონი სახელმწიფოთა შორის დაძაბულობისა და უთანხმოების სფეროს გარეთ დარჩეს.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ინიციატივით მოხდა აზრთა საფუძვლიანი ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის საგაჭრო ურთიერთობის შესახებ. ამასთან ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა ფინეთის მხარის მოსაზრებანი ორივე ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე უაღრესი ყურადღებით შეისწავლის ამ მოსაზრებებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა ამასთან გამოთქვა საბჭოთა კავშირის უარყოფითი დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნების განკერძოებული სავაჭრო ბლოკებისადმი, რომლებსაც სულ უფრო მეტიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. მაგრამ საბჭოთა კავშირის მხრივ კმაყოფილებით იქნა აღნიშნული, რომ ფინეთი არ აპირებს უარი თქვას ყველაზე უმეტესი მფარველობის პრინციპზე, რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობაში, და განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე, რომელსაც ესმის ფინეთის მისწრაფება შეინარჩუნოს თავისი კონკურენტობის უნარი დასავლეთის ბაზრებზე, მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ფინეთის მხარესთან იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის სავაჭრო გაცვლის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების მიზნით იმ შემთხვევაში, თუ ფინეთი მოისურვებს დადოს განსაკუთრებული სავაჭრო შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან. მოლაპარაკება გაიმართება მოსკოვში 1960 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიწვია ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი ესტუმროს საბჭოთა კავშირს. ეს მოწვევა კმაყოფილებით იქნა მიღებული.

ნ. ს. ხრუშჩოვი ფინეთში

ჰელსინკი, 3 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ფინეთში დღესასწაულის დღეა — აღნიშნავენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის დაბადების 60 წლისთავს.

საღამოს ჰელსინკში გაიმართა ამ დღესასწაულის ეროვნულ თეატრში. აქ შეიკრიბნენ მთელი ფინეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, პარლამენტის დეპუტატები, მთავრობის წევრები ვ. ი. სუქსელაინენის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის მეთაურები და წევრები. ერთ-ერთ ლოჟაში ზის იუბილარი-პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი. მეორე ლოჟაში — საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული საპატიო სტუმარი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

დღესასწაულზე სიტყვები წარმოთქვეს პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუქსელაინენმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. ტერნგრენმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ჰელსინკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს საუბარი ჰქონდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უ. კ. კეკონენთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ა. ვ. ზახაროვმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგემ ნ. მ. ლუნკოვმა; ფინეთის მხრივ — პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუქსელაინენმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ტერნგრენმა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ა. კარიალაინენმა და ფინეთის ელჩმა სსრ კავშირში ე. ა. ვუორიმ.

ჰელსინკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს საბჭოთა საელჩოს შენობაში ჰელსინკში საუზმე გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

საუზმეზე აგრეთვე იყვნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ტერნგრენი და მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარეები პ. აიტიო და ი. ვიროლაინენი, პარლამენტის ფრაქციათა ხელმძღვანელები, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი.

საუზმეზე აგრეთვე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ნ. მ. ლუნკოვი, პასუხისმგებელი თანამშრომლები საბჭოთა საელჩოსი და სავაჭრო წარმომადგენლობისა ფინეთში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და უ. კ. კეკონენმა სიტყვები წარმოთქვეს საუზმეზე.

საუზმემ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

1960 წლის პირველ ნახევარში ჩაის წარმოებაში საუკეთესო მაჩვენებელთა მოპოვებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პირველი ადგილი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა რაიონთა პირველ ჯგუფში მიეკუთვნა ქობულეთის რაიონს, რაიონმა გაადიდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით 16 პროცენტით და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 125 პროცენტით, ამასთან პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადაჭარბებულია 3,1 პროცენტით. უმაღლესი და პირველი ხარისხების მზა პროდუქციის გამომუშავების გეგმა რაიონმა შეასრულა 122 პროცენტით, ჩაის პლანტაციების გაშენების წლიური გეგმა — 105 პროცენტით, ხოლო ნერგის მოხავსება პლანტაციების რემონტისათვის — 102,3 პროცენტით.

ჩაის წარმოებაში მეორე ადგილი წლის პირველ ნახევარში მიეკუთვნა მაზარაძის რაიონს, მესამე ადგილი — ჩოხატაურის რაიონს.

რაიონების მეორე ჯგუფში პირველი ადგილი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა ტყიბულის რაიონს, რომელმაც 1960 წლის პირველ ნახევარში მოიპოვა საუკეთესო მაჩვენებლები ჩაის ფოთლის კრეფასა და გადამუშავებაში. რაიონმა მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით გაადიდა 11 პროცენტით, ხოლო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 123,2 პროცენტით, ამასთან სახელმწიფოს პირველი ხარისხის ნედლეული ჩაბარა 75,4 პროცენტი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 70 პროცენტი.

რაიონმა მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა აგრეთვე უმაღლესი და პირველი ხარისხის ბაიხაო ჩაის წარმოებასა და გამოშვებაში, ამ ხარისხების ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 138,9 პროცენტით. ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით.

მეორე ადგილი ჩაის წარმოებაში რაიონების ამ ჯგუფში მიეკუთვნა წყალტუბოს რაიონს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთის, ლანჩხუთის, საჩხერედიის, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ხობისა და თერჯოლის რაიონების კარგი მუშაობა, რომლებმაც ჩაის წარმოებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს 1960 წლის პირველ ნახევარში (საქდესი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნება რაიონებისათვის, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ჩაის წარმოებაში

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კპ ონის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ა. ე. გოლეთიანს
ონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ბ. ო. მინდელს
საქართველოს ალკკ ონის რაიკომის მდივანს
ამხანაგ მ. ვ. ჩიხრაძეს
ონის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური ვალდებულების 100,1 პროცენტით, რძისა — 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 102,1 პროცენტით შესრულებაში.

მოწინავე მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეობა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოთა, სოფლის მეურნეობის—ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წელს მიერ ნაკისრი დიდი ვალდებულებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის მდივანს
ამხანაგ მ. მ. სამხარაძეს
ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ე. გ. აბაშიძეს
საქართველოს ალკკ ორჯონიკიძის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ზ. ი. ფოფხაძეს
ორჯონიკიძის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 104 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით და კვერცხის 100 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი 1960 წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის, მეფრინველეობის განვითარების, სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ანგისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და შრომითს საქმიანობაში ინიციატივის ჩაბმის მიზნით, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას, აგრეთვე ოიეალისწინებს რა მოქალაქეთა — და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალ წინადადებასა და სურვილს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მცხოვრები სრულწლოვანი, შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, შეიძლება გასახლებულ იქნან ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით მოქალაქეთა საერთო კრებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მილიციის დაწესებულებების შუამდგომლობის საფუძველზე.

გასახლება ხდება საქართველოს სსრ რაიონებში შრომითს საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით გასახლების ადგილას.

2. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება გასახლების შესახებ ძალაში შედის მისი მიღების დღიდან და უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა.

3. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გასახლების შესახებ, შეუძლია ნება დართოს გასახლებულს დაბრუნდეს წინანდელ საცხოვრებელ ადგილას გასახლების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ გასახლებულის განცხადების, მისი ყოფაქცევისა და შრომითი საქმიანობის შესახებ დადებითი დახასიათების საფუძველზე, დაბრუნების შემდეგ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აუცილებლად ჩაბმით.

4. გასახლების ადგილის თვითნებურად დატოვება ან ამ ადგილას გაგზავნის დროს გზიდან გაქცევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 82 მუხლის II ნაწილით — გასახლების შეცვლას თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამტკიცოს დებულება ამ ბრძანებულების შეფარდების შესახებ.

6. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1960 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1960 წ. 5 სექტემბერი.

ვილჰელმ პიკის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ბერლინი, 5 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ბიულეტენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა მოულოდნელად დაწყებული გულის სისუსტის გამო. ტემპერატურის 38,4 გრადუსამდე აწევის შემდეგ პრეზიდენტის მდგომარეობა ფრიად სერიოზული გახდა.

შვიდწლიანის ფურცლებიდან

მთიდან ბარად

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სვანი ჭაბუკი ბ. ონიანი მშობლიურ სოფელ სასაშს გამოეთხოვა და დედაქალაქში ჩამოვიდა. საშუალო სკოლა წარმატებით დამთავრა და თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატს მიაშურა. მოწყალედ მიიღეს. სვანი ჭაბუკი მალე დაეუფლა საქმეს, საუცხოო უნარი გამოიჩინა. ამიტომ იყო, რომ სამღებრო-გამომყვანი წარმოების სადეკატირო განყოფილებაში ქვეოსტატად დანიშნეს, ბრიგადა ჩაბარეს.

ურთულესი მანქანები ადამიანის ნების მორჩილი შემსრულებლები არიან. თელვის, რეცხვის, შეღებვის, გაშრობისა და გაწმენდის შემდეგ ქსოვილი მიდის სადეკატირო განყოფილებაში. აქ იგი იღებს დასრულებულ სახეს და შემდეგ გადაეცემა საწუნმდებლო განყოფილებას დასამარკავად. ბ. ონიანის ბრიგადას მეტად პასუხსაგები უბანი აბარია, მაგრამ აქ სიძნელეებს არ უშინდებიან. ბრიგადა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მოპოვებისათვის იბრძვის და ყოველდღიურად დავალებას 140-160 პროცენტით ანაღდებს. ახევე საამაყოა თვით ქვეოსტატ ბ. ონიანის ყოველდღიური შრომითი საქმიანობა. ამ ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქცია — „დედაქალაქური“, ქალისა და ბავშვის საპალტოები, საკოსტიუმეები — „კოლხიდა“ და „მერინოსი“ და სხვა ასორტიმენტის ქსოვილი ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

— ჩვენს ბრიგადას მეტად პასუხსაგები საქმე აბარია, — ამბობს ბ. ონიანი. — შეიძლება ქსოვილმა ყველა პროცესი კარგად გაიაროს და ბოლოს ჩვენს განყოფილებაში დაუდევრობით წუნი მივიღოთ. მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ჩვენი კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქცია მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. თბილისურ შალის ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთაც — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სვანეთიდან ჩამოსული და მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ დაოსტატებული ბ. ონიანი მიღწეულს როდი სჯერდება. ყოველთვის იმის ცდაშია, რომ უფრო მეტად გააადვილოს შრომა, გააუმჯობესოს ქართული ქსოვილების ხარისხი.

ვ. გოზალიშვილი.

ფოტო ავტორისა.



ბ. ონიანი.

ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ!

მატარებელი თბილისი-ვალე მდინარე ფოცხოვის ლამაზ ხეობას მიჰყვება. ირგვლივ მოჩანს ხეხილის ბაღები, ბოსტნები, ყანები. ნიავს მოაქვს მესხური ხილის სურნელი.

წინ შესანიშნავი სანახაობაა: მარცხნივ აჭარა-ახალციხის ლამაზი მთაგრეხილი აღმართულა, მარჯვნივ — მესხეთის ზეგანი, დაბლა კი ვერცხლისფრად ლაპარპებს ფოცხოვის გასარჯული ზედაპირი. ამ სურათის ცქერისას უნებლიეთ ყველაფერი გავიწყდებათ და ამასობაში მატარებელი დაბა ვალეს მიუახლოვდება.

დაბა ვალე... ირგვლივ მთები, რომლებსაც ფოცხოვი ქამარივით შემორტყმია. სივრცეში უხილავ ხელს ლარივით გაუჭიმავს ფოლადის ბაგირები და მაიზე ერთი შეხედვით მინიატიურული ვაგონეტები ჩამოუკიდებია.

№ 1 შახტის თავზე წითელი ვარსკვლავი ციმციმებს. ეს შახტი ერთ-ერთი მოწინავეა ტრესტ ახალციხის ქვანახშირის საწარმოთა შორის. შახტის კოლექტივმა 27 აგვისტოსათვის გაანაღდა რვა თვის დავალება.

შახტში სამი საექსპლოატაციო უბანი მუშაობს. პირველმა უბანმა, რომელსაც კომუნისტი ანდრო ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს, ქვანახშირის ამოღების 8 თვის დავალება 19 აგვისტოსთვის შეასრულა და დღეისათვის გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს.

№ 1 შახტში ბევრია მოწინავე, მაგრამ ვისაც უნდა ჰკითხოთ, ვინ გამოირინა ყველაზე მეტად თავი შრომაში, პირველ რიგში ბიკენტი ტეფნაძესა და სტეფანე აფრიამაშვილს დაგისახელებენ.

ბიკენტი ტეფნაძე გამმაგრებელთა ბრიგადის ხელმძღვანელია. იგი სოფელ ქვემო ენთელში ცხოვრობს. ბიკენტის შრომითი საქმიანობა სწორედ ამ სოფელში დაიწყო. შემდეგ საფაბრიკო-საქარხნო სკოლა დაამთავრა და შახტს მიაშურა. ეს იყო 13 წლის წინათ. როდესაც ბიკენტი მაშინდელ და ახლანდელ დაბა ვალეს ადარებს, ქმაყოფილების გრძნობით იღიმება და ამბობს: — შედარებაც ხომ არ შეიძლება, რაღაც ორიოდე სახლი იდგა, ახლა კი მეშახტეთა ნამდვილი დაბაა: სწორი ქუჩები, ლამაზი და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სკოლა, საავადმყოფო. დაბა ვალეს ცენტრში აღმართული კულტურის სახლის უზარმაზარი შენობა ბევრ რაიონს შეშურდება.

ბ. ტეფნაძის ბრიგადამ 8 თვის დავალება 7 თვეში შეასრულა. ბრიგადა ეჯიბრება გამმაგრებელთა მეორე ბრიგადას, რომელსაც ვანო ნებაძე ხელმძღვანელობს. წლის პირველ ნახევარში ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბიკენტის ბრიგადა გამოვიდა.

შესანიშნავ მეშახტეს ბიკენტი ტეფნაძეს მხარს უმშვენებენ მისივე ძმები. ილია მოწინავე მნგრეველია, ვლადიმერი ამავე შახტში მუშაობდა გამმაგრებლად. ამჟამად სამხედრო სამსახურშია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შახტში გამგრრებლად დაიწყო მუშაობა ბიკენტის უმცროსმა ძმამ ალექსანდრემ. იგი წარმებისაგან მოიწყვეტლივ აპირებს სწავლის გაგრძელებას საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე. ბიკენტის სძეებიც — გერვასი მუმლაძე და ამბროსი ხარაიშვილი მოწინავე მეშახტეები არიან. პირველი მნგრეველია, მეორე — გამმაგრებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

სტეფანეს ბიოგრაფიაში არაჩვეულებრივი არაფერია.

იგი სოფელ არალიდან არის. სტეფანე კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადირი იყო. როდესაც დაბა ვალეში შახტების მშენებლობა დაიწყო, სტეფანეს გულმა ვერ მოუთმინა და მეშახტეთა დაბას მიაშურა. ეს იყო 1948 წელს. სტეფანე აფრიამაშვილმა გამყვანად დაიწყო მუშაობა, სულ მალე ბრიგადირად დაწინაურეს. ახალციხის თიხქმის ყველა შახტის მშენებლობაში მიუღია მონაწილეობა და ყველგან მოწინავისა და კეთილსინდისიერი მშრომელის სახელი დაუმსახურებია. ამჟამად მის ბრიგადაში 32 კაცია. პირველ შახტში ეს ბრიგადა საუკეთესოა. სტეფანეს ბრიგადამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის სპეციალური წოდება.

ბრიგადამ ყოველთვიურად გეგმის 45 გრძივი მეტრი სახიდ-საველე შტრეკი უნდა გაიყვანოს, ფაქტიურად 90-100 გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევარი გაჰყავს. მეშახტის დღისათვის კარგი საჩუქარი მოუმზადა სამშობლოს. აღმოსავლეთის ფრთაზე ჩაბარა ახალი ჰორიზონტი — „970“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქვანახშირის მოპოვების გაზრდის საქმეში. დღეღამეში ეს ჰორიზონტი 100-120 ტონა ქვანახშირს აძლევს სამშობლოს. სტეფანეს ბრიგადა ხალხთა მეგობრობის ნამდვილი სარკეა. ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები... საუკეთესო გამყვანის სახელი დაიმკვიდრეს ბრიგადის წევრებმა: შ. ბალახაშვილმა, რ. ბირკაძემ, ტ. ბლუაშვილმა, ნ. კნიაზევმა, პ. სალნიკოვმა, ა. კაპანაძემ, ე. სეროპიანმა და სხვებმა.

არის ახალი ჰორიზონტი „970“! წინ კი სხვა ახალი ჰორიზონტებია.

ფ. დანელია.

* * *

სურათებზე: ბ. ტეფნაძე (მარცხნივ) და ს. აფრიამაშვილი.

ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲠᲐᲕᲦᲔᲑᲝᲓᲔᲡ

1.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ მეცხვარეობა ყველაზე მომგებიანი დარგია მეცხოველეობაში.

მიუხედავად ამისა, ამ წინა წლებში ისე დატრიალდა საქმე, რომ საქართველოში მაინცდამაინც წინ ვერ წაიწია ცხვარმა. მაგალითად, იმის გამო, რომ ცხვრისათვის ყოველივე ვერ გავითვალისწინეთ, ჩვენს კოლმეურნეობაში 1958 წელს პირუტყვის მასობრივ დაცემას ჰქონდა ადგილი, ეს ჩვენთვის მწარე გაკვეთილი იყო.

ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები დიდი ინტერესით გაეცნენ სიღნაღელი მეცხვარეების წერილს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მათი ნოვატორული მუშაობის შესახებ.

ამ დოკუმენტებმა ჩვენი კოლმეურნეობის მეცხვარეები აღაფრთოვანა. ისინი კარგად ჩაუკვირდნენ ორ წელიწადში სამი დოლის ჩატარების მეთოდს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს სრულიად რეალური და ამავე დროს დიდად სარგებლიანი საქმეა.

— ორ წელიწადში სამი დოლი მილიონებია, — გულდაჯერებით თქვა მეცხვარეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლადო გელაძემ და აქედანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი კოლმეურნეობის ფარეებში ამ მეთოდის დანერგვას.

ვბაძავთ რა ჩალაბაშვილს, წელა ცხვარი არ მოგწველეთ, ჯერ კიდევ ივნისში, მთაშიც გავაშრეთ და გავნერბეთ. ამჟამად უკვე განერბილი გვყავს 500-ზე მეტი დედა ცხვარი. ნოემბრის პირველ რიცხვებიდან დღლი დაგვიწყება, რასაც ერთ თვეში მთლიანად დავამთავრებთ.

ბატკნების გამოსაზამთრებლად 80 ჰექტარზე დათესილი გვაქვს ქერი. კიდევ დავთესთ 60 ჰექტარს. ბატკნიანი ცხვრისათვის ვაშენებთ მაღალტერიან და თბილ ბინებს, ყველა პირობას ვქმნით იმისათვის, რომ ორ წელიწადში წარმატებით ჩავატაროთ სამი დოლი, მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი.

შ. მანაულაშვილი.

ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲑᲐᲫᲐᲕᲔᲜ გ. ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ გ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჩალაბაშვილი. გ. მეჯედლიშვილი.

სიღნაღლის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეცხვარეების გ. ჩალაბაშვილისა და გ. მეჯედლიშვილის თაოსნობამ ორ წელიწადში სამი დოლის მიღების საქმეში დიდი გამომცდელობა მოგვა საქართველოს მეცხვარეთა შორის.

ძველი ანაგის მეცხოველეებს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდათ. მას შემდეგ, რაც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გ. ჩალაბაშვილისა და გ. მეჯედლიშვილის გამოცდილების შესახებ, რედაქციაში სისტემატურად მოდის წერილები. ქართველი მეცხვარეები მადლ შეფასებას აძლევენ სიღნაღელ მეცხვარეთა თაოსნობას, ბაძავენ მათ, ცდილობენ პრაქტიკულად განახორციელონ ორ წელიწადში სამი დოლი, რაც ესოდენ ძვირფას ღონისძიებას წარმოადგენს ჩვენი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საკითხზე რედაქციაში შემოსულ წერილებს.

2.

დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეწყემსი იოსებ ლაგაზაშვილი ამას წინათ მშობლიურ მთებში სტუმრად იყო. დიახ სტუმრად, რადგან ის აგერ მეშვიდე წელია თავის ამხანაგებთან ერთად ზამთარ-ზაფხულ შორეულ ნოღაეთში იმყოფება და თვალსაჩინეოთ უვლის კოლმეურნეობის ფარას, რომელშიც 850-ზე მეტი ნაზმატყლიანი ცხვარია.

სიხარულით შეხვდნენ იოსებს თანასოფლელები. ყიზლარის ამბები გამოჰკითხეს, ჯანმრთელობა და ახალი შრომითი წარმატებები უსურვეს.

რით დაიმსახურა მწყემსმა ასეთი პატივისცემა?

იმით, რომ ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს, ძალღონეს არ იშურებს საკოლმეურნეო ფარების გამრავლებისათვის.

ᲓᲘᲓᲘ ხანი არ არის, რაც ქობულეთში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა. იგი დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს. სულ უფრო იზრდება ფრინველის ხორცის წარმოება. ფერმაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ იგი მოწინავე იყოს.

ასევე არის. ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა და წარმატებით წყვეტს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. ფერმის კოლექტივი უნარიანად შრომობს, ნერგავს მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას, რის შედეგადაც წელს მოპოვებულია ახალი წარმატება: თვითეული კვერცხმდებელ ქათამზე ვალდებულებით ნაკისრი 90 კვერცხის ნაცვლად მიღებულია 100 ცალი კვერცხი.

ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვის ვეტფერშალს მაყვალა არველაძეს, რომელიც ყოველთვის დროულად ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

სურათზე: მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმაში; (წრეში) ვეტფერშალი მაყვალა არველაძე.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲙᲐᲡ!

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲚᲔᲚᲘᲐᲜ

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲙᲐ ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა ტყიბულის ქვანახშირის საბადოში. ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის მძლავრ შახტებში უკვე იყენებენ ცენტრალური განიავების ვენტილატორის ავტომატურ და დისტანციურ მართვაზე გადამყვან უნივერსალურ აპარატურას. ეს უნიკალური მოწყობილობა დიდ ეკონომიურ შედეგს იძლევა. იგი ათჯერ და უფრო მეტად ამცირებს ვენტილატორის ამოქმედების დროს. საჭირო შემთხვევაში სწრაფად გადაჰყავს აგრეგატები რევერსიულ მოქმედებაზე. ამას ტექნიკური უსაშიშროების დაცვის თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, გარდა ამისა იგი აწესრიგებს და ამავე დროს კონტროლს უწევს ვენტილატორის მუშაობის მთელ რეჟიმს, ელექტრომოტორისა და ვენტილატორის საკისრების გადახურების შემთხვევაში აპარატი იძლევა როგორც სინათლის, ისე ბგერითს სიგნალებს. სპეციალური ხელსაწყოები ზუსტად უჩვენებენ სამახტო გამონამუშევარში ჰაერის ჭავლის ნორმალურ თუ არანორმალურ მსვლელობას, მის წნევასა და დანიშნულებისამებრ ხარჯვას.

ვისაც შახტში უმუშავია, მან იცის, რომ ჭამწევი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიწისქვეშა გამონამუშევარია. ჭამწევში მოძრაობს უზარმაზარი რკინის გალია, რომელსაც ღრმა ჰორიზონტებზე ჩაჰყავს და ამოჰყავს ხალხი, ჩააქვს და ამოაქვს საშახტო ვაგონეტები. გალიის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. დამცავი კარების რეგულარულ, მიზანშეწონილ გაღება-დაკეტვას. ამ კარების მოძრაობის რეჟიმს წინათ მეჭამწევე განაკარგავდა. ახლა აქ დაამზადეს სპეციალური ხელსაწყო, რომელიც საჭირო შემთხვევაში ავტომატურად ხურავს და აღებს ჭამწევის კარს. ეს პროგრესული ტექნიკა უკვე დანერგა ლენინის, სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის შახტებში.

ტყიბულის ყველა შახტს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ძლავრი წყალსატუმბავი მეურნეობა აქვს. გიგანტური ტუმბოები ბარბად. შეისრუტავენ ხოლმე სამთო ჰორიზონტებიდან მოღენილ წყალს და გზავნიან მას მიწის ზედაპირისაკენ. წყალსატუმბავ მეურნეობას მრავალი მექანიკოსი ემსახურება, ისინი მთელ რიგ სამუშაო პროცესებს ხელით ასრულებენ. ეს სამუშაო პროცესები ძმიმეა და ამავე დროს დიდ დროს მოითხოვენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისათვის მზადების დღეებში დიდი საწარმოო სიახლე დანერგეს ტყიბულელმა მეშახტეებმა. ორჯონიკიძის სახელობის შახტში წარმატებით განხორციელდა წყალსატუმბი მეურნეობის ავტომატიზაცია. ეს ტყიბულელ მექანიზატორთა მორიგი თვალსაჩინო გამარჯვებაა.

ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვის შედეგად ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა სათბობის მოპოვების შვიდნახევარი თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში, სადაც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე საკმაოდ მაღალია, განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით ამოიღეს 61 ემელონი „შავი ოქრო“.

ტყიბულელმა მეშახტეებმა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება გეგმისაზე შედარებით 82 კაპიკით შეამცირეს და შვიდ თვეში დაზოგეს და რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 679 ათასი მანეთი.

ეს წარმატებები უდავოდ უფრო მეტი იქნებოდა, ყველა რეზერვი რომ იყოს გამოყენებული ავტომატიზაციის სამუშაოთა დასაჩქარებლად. ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ზოგიერთ საწარმოში ავტომატიზაციის სამუშაოები წლების განმავლობაში ჭიანურდება.

— ეს ეს პროექტი, თაროზე რომ დევს, — გვეუბნება ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მთავარი მექანიკოსი კ. მარდალეიშვილი, — ორჯონიკიძის სახელობის შახტის ცენტრალური განიავების ვენტილატორის ავტომატიზაციის პროექტია. იგი ამ სამი წლის წინათ შეუდგენიეთ. ტრესტმა დროულად დაუკვეთა ქარხნებს საჭირო აპარატურა, მაგრამ ამაოდ — მისი მიღება დღემდე ვერ მოხერხდა. ახლა პროექტი მოძველდა, საჭიროა დამატებითი ხარჯები მის გადასაკეთებლად.

ტყიბულში ორ წელიწადზე მეტია ლაპარაკობენ კომპრესორების ავტომატიზაციაზე. უკვე შედგენილია სათანადო პროექტი და მუშა ნახაზები. მაშ რა აფერხებს ამ სიახლის განხორციელებას? სათანადო აპარატებით მოუმარაგებლობა.

ქვანახშირის ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში დანადგარების შეზეთვა ხელით, პრიმიტიული მეთოდით წარმოებს. ამაზე დიდი დრო და ენერგია იხარჯება. სამი წლის წინათ აქ დაებადათ აზრი, რომ შეზეთვის მთელი სისტემა ავტომატიზაციაზე გადაეყვანათ. ფაბრიკის ადმინისტრაციამ ქარხნებს საჭირო ხელსაწყოები დაუკვეთა. მექანიზატორებმა მიმდინარე წლის იანვარში ფართო მასშტაბით გაშალეს სამუშაოები, ქვანახშირის მოსამზადებელ საამქროში გაიყვანეს ზეთის გამტარი მილგაყვანილობა, დაამონტაჟეს დამწნევი აპარატები. ამჟამად მთელი კომპლექსი მზად არის, მაგრამ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა მაინც არ ხერხდება. საქმეს აფერხებს ხელის ტუმბოების უქონლობა.

შეიდწლიანი გეგმის მიხედვით ტყიბულის შახტებში უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა ტრანსპორტის ავტომატიზაცია. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. შარშან კონტოპის მანქანთსამშენებლო ქარხნიდან მიიღეს და სტალინის სახელობის შახტში დაამონტაჟეს რკინიგზის ისრების გადამყვანი ოთხი ავტომატი. ახლამა ტექნიკამ შეამსუბუქა მოძრაობის მუშაკების შრომა, დაჩქარა ვაგონეტების ბრუნვა, გაუმჯობესა უსაშიშრო მუშაობის პირობები. ყველას ეგონა, რომ ეს ავტომატები მკვიდრად მოიდგამდნენ ფეხს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. ისრების გადამყვანი აპარატურა უყურადღებობის გამო მალე გამოვიდა მწყობრიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები დღემდე ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ ტყიბულელ მეშახტეებს ავტომატიზაციის დანერგვის საქმეში. მეშახტეები მოელიან ამ დახმარებას.

ვ. ციბერაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის წევრები, რომელნიც რამოდენიმე დღეა სტუმრად იმყოფებიან სამგორის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, აღტაცებული არიან იმ გულთბილი შეხვედრით, რასაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უწყობენ მათ.

4 სექტემბერს ტამბოველები ეწვივნენ ქ. გორს. დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

ტამბოველი სტუმრები შემდეგ გაემგზავრნენ ბორჯომსა და ბაკურიანში. მოძმე რუსი ხალხის წარმომადგენლები მოიხიბლნენ ბორჯომის ხეობის მომჯადოებელი სილამაზით.

— ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ბუნების ასეთი სილამაზე არსად მინახავს, — გვითხრა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ევგენია ანდრეეევამ. მან ამ სიტყვებით დელეგაციის ყველა წევრის აზრი გამოხატა.

გუშინ ტამბოველ კოლმეურნეთა დელეგაცია გაემგზავრა თელავში, სადაც დაათვალიერა თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რის შემდეგ სტუმრები ეწვივნენ წინანდლის ლენინის ორდენოსან საბჭოთა მეურნეობას და გაეცნენ მეურნეობის კოლექტივის საქმიანობას.

სტუმრები დღეს გაეცნობიან თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲩᲘᲐᲜᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲚᲝᲡᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲐ?

ყოველ გარიჟრაჟზე სოფელ ძალოსის კოლმეურნეობის ყანებში მუშაობას იწყებს მწვანე მასის ამღები კომბაინი, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი არსენ დონღუზამვილი მართავს.

— ჩვენი ვალდებულებაა, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი არჯევანიძე, — დავასილოსოთ 3.000 ტონა მწვანე მასა. დღემდე უკვე ჩადებულია ნახევარზე მეტი — 1.700 ტონა. სასილოსედ გვითესია 110 ჰექტარი სიმინდი. ჰექტარზე 300 ცენტნერამდე მწვანე მასას ვიღებთ.

წარმატებით მიმდინარეობს დასილოსება წილკნის კოლმეურნეობაშიც. აქ საკვებს ასილოსებენ მიწისზედა დასილოსების წესით. აქ ვალდებულებით ნაკისრი 3.500 ტონიდან უკვე ჩადებულია 2.500 ტონა სილოსი.

მაგრამ მცხეთის რაიონში ჩამორჩენილებიც არიან. სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. გოგია) შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო საკვების დასილოსება დაუშვებლად ჭიანურდება. აქ კოლმეურნეები ხელით მუშაობენ. არა აქვთ მწვანე მასის ასაღები კომბაინი. ამის გამო ჩადებულია მხოლოდ 30 ტონა სილოსი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 3.000 ტონისა.

საკვების დამზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩება აგრეთვე მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — დაუმზადონ მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს ფერმებს 35.000 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი.

(საკ. კორ.).

ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲡ ᲒᲐᲚᲔᲮᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ

ადიბენის რაიონის კოლმეურნეობათა მინდვრებზე თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაა გაჩაღებული. მხვნელ-მთესველები წლის მოსავლით ხარობენ.

ამ ორიოდე დღეში სოფელ ჩორჩანის კოლმეურნეობის მოწინავე კომბაინერმა ს. ჩილინგარაშვილმა თვითმავალი კომბაინით 46 ჰექტარზე აიღო მოსავალი. ნაცვლად 11 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე 13 ცენტნერი პურეული გალეწა. აქ უკვე დაამთავრეს ნამჯის გატანა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სანაწყვარალო ხვნა.

მკა დაამთავრეს აგრეთვე სოფლების ბოლაჯურის, არალის, დიდი სმადის, ქვემო ენთელისა და პატარა სმადის კოლმეურნეობებმა. ახლა მემინდვრეები წარმატებით მუშაობენ ნამჯის გატანასა და პირუტყვისთვის საკვების დაგროვებაზე.

მაგრამ ასე როდია საქმე რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. სოფელ ქრქნეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ბიჩახიანი) მხვნელ-მთესველები მოსავლის დროულად აღებასა და დაბინავებაზე ნაკლებად ზრუნავენ. მოუქნელი მუშაობის შედეგად ამ კოლმეურნეობის მინდვრებზე ხშირად მოიცდარია ადიგენის სარემონტო-ტექნიკური სადგურის „ს-4“ მარკის თვითმავალი კომბაინი. შემოწმების დღეს, იმის გამო, რომ ავტომანქანები მოსასურებას ვერ „უწევენ“ მეკელებს, კომბაინის ბუნკერიდან პურს მიწაზე ყრიდნენ. კოლმეურნეობაში თვეობის აკრეფაზე ორაგინ ზრუნავენ, მაშინ როცა საშუალოდ ერთ მეტრ ფართობზე 13-15 თავთავია დარჩენილი, რაც ჰექტარზე 2 ცენტნერამდე დანაკარგს შეადგენს. შეუწყვარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს პურის ლეწვა და ნაკვეთებიდან ნამჯის გატანა. ტექნიკური მოუვლელობის გამო სანახევროდ გაჩერებულია ხვნაზე მომუშავე კოლმეურნეობის „ტტ-54“ მარკის ტრაქტორი.

სოფელ ლელვნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. არსენიშვილი) 49 ჰექტარიდან პურეულის მოსავალი აღებულია 41 ჰექტარზე, აქედან კი გალეწილი იყო მხოლოდ 10 ჰექტარზე მომკილი ყანა. დაზიანების გამო სარემონტო-ტექნიკური სადგურის კომბაინს 6 დღეში მხოლოდ 10 ჰექტარზე ჰქონდა აღებული პურეული. აქ ჯერაც არ დაუწყიათ ხელით მომკილი პურის ლეწვა. უმოქმედოდ დგას რამდენიმე წლის წინათ შეძენილი ტრაქტორი „კდ-35“. რომელსაც დღემდე მხოლოდ 42 ჰექტარი აქვს მოხნული.

მოსავლის აღებაში, ნამჯის გატანასა და სანაწვერალო ხვნაში ჩამორჩენიან ის ჯერაც არ დაუწყიათ ხელით აღებული პურის ლეწვა სოფლების ყარათუნის, ადიგენის, სამყურის, წახნისა და ზანავის კოლმეურნეობებს.

გასულ წელს ამ კოლმეურნეობებში შეუსრულებელი დარჩა მარცვლეულის მოსავლიანობის დავალება. წელს მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს, მაგრამ იგი მინდორში არ შეფასდება. ცალკეულ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის შედეგად, რომ რაიონში 1.727 ჰექტარიდან თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებულია 1.521 ჰექტარზე და გალეწილი მხოლოდ 1.045 ჰექტარზე მომკილი მოსავალი.

ადიგენის სარემონტო-ტექნიკური სადგური მოსავლის აღებაზე ცუდად რომ ამუშავებს თავის კომბაინებს, მაგრამ აკლიათ მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები. ამის გამო ბევრგან ფერხდებოდა დაზიანებული კომბაინების შეკეთება და მათი ნორმალური მუშაობა.

ყანის მკასა და ხორბლეულის დაბინავებას დიდად უშლის ხელს ავტომანქანების საბურავების უქონლობა. ამ მიზეზით სოფელ უდის კოლმეურნეობის 11 ავტომანქანიდან მხოლოდ 5 მუშაობს. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ წრისა და სხვა კოლმეურნეობებში.

მოსავლის დროულად აღება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მომკილს გალეწვა უნდა.

ჯ. ხვადაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

*

ბონელი რევანშისტები ცეცხლს ეთამაშებიან

კორეელები მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლას

ჟენევიანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). კორეელი მშრომელები დღეს სიხარულით შეხვდნენ ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის ფხენიანის საელჩოს სახელზე ამ უკანასკნელ ორეულ დღეში რესპუბლიკის ყველა კუთხის მშრომელთაგან მიღებულია ათასამდე წერილი, რომლებშიც გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ხელს შეუწყობს კორეისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კორეასა და მორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ... ხელს შეუწყობს სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების დიადი ამოცანების ... განხორციელებას.

... კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებში იმართება კრებები, და მიტინგები, რომელთა მონაწილენი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლის ვიზიტს.

... ფხენიანის საფეიქრო კომბინატის მუშა-მოხამასახურეები ნ. ს. ხრუშჩოვის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიზიტისადმი მიძღვნილ მიტინგზე ... ბანო გამოსვლებში ხაზს უსვამდნენ, რომ მათ საწარმოს, რომელიც მთლიანად ... ომის დროს, ახლა საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით აქვს ... ოთომისტარი, დაახლოებით 3.000 საქსოვი დაზგა და სხვა თანამედროვე მოწყობილობა.

... მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს წერილი ამხ. ხრუშჩოვისადმი და მიიწვიეს ჩამოსულ კომბინატში და პირადად ნახოს, თუ რა შესანიშნავი შედეგი მოჰყვა საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას კორეელი ხალხისადმი, რა ნაყოფი გამოიღო ორმხრივ ... ... ქვეყნის ხალხთა ურღვევმა მეგობრობამ.

მოგზაურობის ვიზები გაუქმებულია

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადო შეთანხმება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ყველა სახეობის მოგზაურობის ვიზები. ახალი შეთანხმების საფუძველზე ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებს ახლა შეუძლიათ მოაწყონ ტურისტული მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში და წვიდნენ მის ტერიტორიაზე გავლით სხვა სახელმწიფოებში.

საერთაშორისო ბაზრობა ლაიფციგში

ლაიფციგი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა 1960 წლის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა, რომელიც 11 სექტემბრამდე გასტანს.

წელს საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობაში მონაწილეობს 47 ქვეყანა. ბაზრობის 16 საგამოფენო შენობასა და ოთხ პავილიონში წარმოდგენილია 6.900 ფირმის, საწარმოს, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაწესებულების ფართო მოხმარების საქონლის, აგრეთვე კვების პროდუქტების ექსპონატები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, არის რა ბაზრობის ორგანიზატორი, მისი მთავარი მონაწილეა. ბაზრობაზე პროდუქცია გამოფინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოებით 5.000 საწარმომ.

ფართოდ წარმოდგენილია ექსპონატები სოციალისტური ქვეყნებიდან. საბჭოთა კავშირის ექსპონატები მოთავსებულია 10 საგამოფენო შენობაში, აქ არის მალის, ბამბის, აბრეშუმის ქსოვილების, ... ტანსაცმლის ნიმუშები, აგრეთვე ბეწვეული, ხალიჩები, საათები, მინისა და ფაიფურის ნაწარმი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ავტომობილები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, მოტოციკლები, მოტოციკლები „იჟ-58“, ველოსიპედები, ფოტოაპარატები, მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვა საქონელი.

ბაზრობაზე საბჭოთა კავშირი მსოფლიო ბაზარს სთავაზობს გემოკვების მრეწველობის პროდუქტების ძალიან ფართო ასორტიმენტს.

ბევრი ექსპონატი გამოფენეს ბაზრობაზე ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა. სოციალისტური ქვეყნების ექსპონატები თვალნათლივ მოწმობენ წარმატებებს, რომლებიც ამ ქვეყნებმა მოიპოვეს ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების დარგში.

ბაზრობის მსხვილი მონაწილეები არიან საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია, ინგლისი, დანია, ფინეთი, შვეიცა, ნორვეგია ინდოეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და სხვა ქვეყნები.

ბაზრობის პირველი დღიდან დაიწყო შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლთა შორის.

რასისტული ფეხორი სამხრეთ აფრიკის კავშირში

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკდესი). 156 დღის საგანგებო წესების განმავლობაში, რაც წარსულ კვირაში გაუქმდა, სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობამ ეს ქვეყანა გადააქცია „პოლიციურ სახელმწიფოდ“, წერს იოჰანესბურგის ყოველკვირეული „გოლდენ სიტი პოსტი“.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იოჰანესბურგიდან იუწყება, „გოლდენ სიტი პოსტი“ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობას ბრალად დებს „სამარცხვინო და ცინიკურ მოქმედებას“. საგანგებო წესების დროს, წერს ყოველკვირეული, პოლიციელები სცემდნენ რკინის წკეპლებით ბევრ დაპატიმრებულს, რის შედეგად ბევრი იყო სიკვდილის შემთხვევა. ამ პერიოდში პოლიციამ, როგორც განაცხადა სამხრეთ აფრიკის კავშირის იუსტიციის მინისტრმა ერასმუსმა, დაუპატიმრა დაახლოებით 20 ათასი კაცი, რომელთაგან დაახლოებით 2 ათასი დაიკავეს „პოლიტიკური ძირგამომთხრელი საქმიანობის ეჭვით“. დღანრ-ჩენი 18 ათასი კაცი აფრიკელები არიან, რომელთაც ბრალად დებენ „სამუშაოსათვის თავის არიდებას“.

ამა წლის 3 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოველი ელჩი გ. კროლი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა. ეს ნოტა პასუხია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 17 აგვისტოს ნოტაზე, რომელიც შეიცავდა პასუხს საბჭოთა მთავრობის 19 ივლისის ნოტაზე ბუნდესვერის „პოლარისის“ ტიპის სტრატეგიული რაკეტებით აღჭურვის საკითხზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავის

საბჭოთა მთავრობის ნოტა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი

17 აგვისტოს ნოტაში გვერდს უვლის „პოლარისის“ ტიპის სტრატეგიული რაკეტებით ბუნდესვერის აღჭურვის საკითხს და იმის პრეტენზიას აცხადებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის საჭიროა შეუზღუდველი შეიარაღება.

სსრ კავშირის მთავრობა, ნათქვამია 3 სექტემბრის ნოტაში, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მთავრობები ვერ იქნებიან გულგრილი მეთვალყურენი იმისა, თუ როგორ მისცემენ ხელში დასავლეთგერმანელ რევანშისტებს იარაღს, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ ომის კატასტროფა დაატეხონ თავს მსოფლიოს.

საბჭოთა ნოტაში აღნიშნულია, რომ ფედერალური მთავრობა აღარ მალავს ბუნდესვერის ატომური აღჭურვის თავის გეგმებს და აშკარად მოითხოვს, რომ დასავლეთ გერმანიის არმია აღიჭურვოს უაღრესად თანამედროვე სახეობათა იარაღით და უწინარეს ყოვლისა რაკეტულ-ატომური იარაღით.

„გენერლების მემორანდუმს“, რომელიც გამომწვევი და თავისი ცინიზმით იშვიათია, საბჭოთა ნოტა უწოდებს ქვეყნის ყოველისმომცველი მილიტარიზაციის პროგრამას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია ნოტაში, ცდილობს გაამართლოს თავისი სამხედრო ღონისძიებანი იმით, რომ იმოწმებს თანაბარ უფლებას შეიარაღების დარგში. ეს უპრეცედენტო მოთხოვნა იმისა, რომ ბუნდესვერი სრულიად შეუზღუდავად შეიარაღდეს ყველა სახეობის იარაღით, იმ მომენტში არის წამოყენებული, როცა მშვიდობისმოყვარე ხალხების ღონისძიებანი ხმარდება იმას, რომ მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია ნოტაში, ისე იქცევა, თითქოს არ ყოფილიყოს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია.

ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დაადგა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეგნებული გამწვავების გზას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი და ყოფილი ჰიტლერელი გენერლები, რომლებიც ახლა სათავეში უდგანან ბუნდესვერს, აშკარად იკვეხნიან, რომ მათს ხელში მალე აღმოჩნდება იარაღი, რომლის საშუალებითაც შეეძლებიან ... ... დეთ საბჭოთა ... ...

რომის ოლიმპიადიდან ბოლო ცნობები

□ **საბჭოთა სპორტსმენებს მიჰყავთ ოლიმპიური თამაში**
□ **როგერტ შავლაყაძე და ავთანდილ ქორიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატები** □ **კიდევ ორი ოქროს მედალი**

უკანასკნელი

□ 5 სექტემბერს რომში მოულოდნელად შეიცვალა ამინდი. ჭექა-ქუხილის შემდეგ ძლიერმა წვიმამ დაუშვა, მაგრამ სპორტის სხვადასხვა სახეობებთან ერთად მძლეოსანთა ასპარეზობა არ შეწყვეტილა. ბაბროს ტყორცნაში ქალთა შორის საბჭოთა კავშირის გუნდს მორიგი გამარჯვება და ოქროს მედალი ახალი ოლიმპიური რეკორდით მოუტანა ნ. პონომარევამ. მან აჩვენა შედეგი 55 მეტრი და 10 სანტიმეტრი. თ. პრესმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

□ **დამთავრდა** სპრინტერ ქალთა დასკვნითი შეჯიბრება 200 მეტრზე რბენაში. საბჭოთა კავშირიდან ფინალში გამოდიოდა მ. იტკინა. ამ შეჯიბრებაში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ოქროს მედლით ხვდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წარმომადგენელს რუდოლფს.

□ **გუშინ** გათამაშდა ოქროს მედალი ნებისმიერი შაშხანის სროლში 3×400 მეტრზე. სსრ კავშირის მსროლელმა ვ. ბორისოვამ მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი შესძინა ჩვენს გუნდს.

□ **დაიწყო** ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. თვითეულ ქვეყანას გამოყავს 6 ტანმოვარჯიშე ქალი და ამდენივე ვაჟი, ჩათვლაში შედის ხუთ-ხუთი საუკეთესო. პირველობისათვის ბრძოლა დაიწყეს საკალდებულო პროგრამით ვაჟებმა. ტაიჭზე შახლინმა მიიღო შეფასება 9,6 ქულა, რგოლებზე აზარიანმა — 9,85 ქულა, ბჯენით ხტომებში პორტნოიმ — 9,6 ქულა. ტანვარჯიშში პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდები.

□ **გუშინ** გვიან ღამით გათამაშდა ფინალური შეხვედრები კრივში. უმჩატეს წონაში ჩემპიონი გახდა უნგრელი სპორტსმენი ტერეკი. სიგკლმ (სსრ კავშირი) ვერცხლის მედალი მოიპოვა. საბჭოთა მოკრივე ო. გრიგორიევმა (მჩატე წონა) ოქროს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიური ჩემპიონი
უოს ტყორცნაში
ვ. რუდენკოვი.



ოლიმპიური ჩემპიონი
აკადემიურ ნიჩბოსნობაში (ერთეული)
ვ. ივანოვი.

მედლები, ქულები

მდგომარეობა ოლიმპიადის მეთოთხმეტე დღისათვის

მედლები

გუნდები	ოქროს	ვერცხლის	ბრინჯაოს	ქულათა როდენობა	ადგილი
სსრ კავშირი	19	9	13	281,5	I
ამერიკის შ. შ.	16	12	12	247,5	II
გერმანია	8	13	6	173,5	III
იტალია	7	4	6	109,5	IV
ავსტრალია	5	6	4	97	V
უნგრეთი	3	7	3	90	VI

საბჭოთა წყალბურთელებს — ვერცხლის მედალი

წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირი, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა „ტელა როზას“ საცურავ აუზში, დამთავრდა. წარმატებით ჩატარა მატჩები იტალიის გუნდმა, რომელმაც პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. დასკვნით შეხვედრაში საბჭოთა წყალბურთელებმა დამარცხეს იუგოსლავიის გუნდი ანგარიშით 4:3 და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. უნგრეთის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

კალათბურთელთა 4 გუნდი — ფინალში

დამთავრდა კალათბურთელთა ნახევარფინალური შეჯიბრება. მას უნდა გამოეცალინა 4 ფინალისტი, რომლებიც ბრძოლას განაგრძობენ პირველი 4 ადგილისათვის. სპორტის მრავალი მოყვარული ესწრებოდა ორი უძლიერესი მეტოქის — ამერიკის შეერთებული შტატების და სსრ კავშირის გუნდების მატჩს, რომელიც დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით ანგარიშით 81:57.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიისა და იტალიის გუნდები. გადამწყვეტი მატჩები დაიწყება 7 სექტემბრიდან.

უკანასკნელი შეხვედრების წინ კრივში

უკანასკნელი შეხვედრების წინ ბრძოლა რინგზე მძაფრი გახდა. საბჭოთა კავშირიდან ფინალში გავიდნენ ს. სიგკლ, ო. გრიგორიევი, ი. რადონიაკი. ბ. ლაგუტინმა (პირველი საშუალო წონა) და ე. ფეოფანოვმა (მეორე საშუალო წონა) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭება

4 სექტემბერს XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეები ისვენებდნენ. ამ დღეს მოიწყო საბჭოთა ოლიმპიელების საზეიმო შეკრება, სადაც ოქროს მედალოსნებს, მათ შორის რობერტ შავლაყაძესა და ავთანდილ ქორიძეს საზეიმოდ მიანიჭეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ოლიმპიელთა საზეიმო შეკრებას ესწრებოდა სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. კოზირევი.

ბინძური ფოსტა

რომი, 4 სექტემბერი. (საკდესი). ოლიმპიური ასპარეზობა მიმდინარეობს როგორც მსოფლიო ახალგაზრდობის დიდი მსოფლიო დღესასწაული. დედამიწის ყველა კუთხიდან აქ ჩამოსულ ათასობით ქალაშვილსა და ჭაბუკს გელით მოაქვს მისწრაფება ერთიანობისადმი, ამხანაგობისადმი, მეგობრობისადმი.

მაგრამ, სამწუხაროდ, რომში არიან ადამიანები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ მაღალ ოლიმპიურ იდეებს, ასპარეზობას იყენებენ ბინძური პროპაგანდისტული მიზნით, ცდილობენ საბჭოთა ადამიანებს შეაჩეჩონ სახიზღარი ლიტერატურა, რომელიც შეთითხნილია „ცივი ომის“ მომხრეთა სახსრებით.

საბჭოთა ჟურნალისტებსა და ტურისტებს ფოსტით უგზავნიან ბინძურ წიგნებს, რომლებიც გამოცემულია ნიუიორკში, ბუენოს-აირესში, მიუნხენში, მაინის ფრანკფურტში.

საჭირო არ იყო ყოველივე ამის ხსენება, რომ შაბათს არ მომხდარიყო ახალი აღმაშფოთებელი ფაქტი: იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პაკეტებით სპორტსმენებს გაუგზავნეს ბინძური წიგნი, რომელიც ქება-დიდებას ასხამს კათოლიკურ ეკლესიას. საჭირო არ არის მოვიყვანოთ ამ „გამოცემის“ ავტორთა სულელური აზრები. აღშფოთებას იწვევს სხვა რამ — როგორ შეეძლოთ ეგზეკატორებს იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან გამხდარიყვნენ კლერიკალების მსახურები, რომლებიც ოლიმპიურ ასპარეზობას იყენებენ თავიანთი ბინძური მიზნებისათვის.

საბჭოთა სპორტსმენები, პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ოლიმპიურ ასპარეზობას იყენებენ რელიგიური პროპაგანდის მიზნით და მოელიან, რომ ოლიმპიური ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტი გადაჭრით დაგმობს ბნელეთის მოციქულებს, რომლებიც ცდილობენ ახალგაზრდობის მსოფლიო შეხვედრა გამოიყენონ თავიანთი ბინძური იდეების განსახორციელებლად.

საბჭოთა მოფარიკავე ქალების გუნდი, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო XVII ოლიმპიურ ა
პარეზობაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): **ტ. პეტრენკო, ა. ზაბელინა, ლ. შიშო